

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის მიზეზია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დაგეგმილი ცვლილებები. რის შედეგად ხდება სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რეორგანიზაცია და ზოგიერთი ფუნქციის, მათ შორის, სახელმწიფო პენსიების გაცემის უფლებამოსილება უნდა გადაეცეს სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვა ერთეულს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონში ცვლილებების შეტანის მიზანია შემოსვენებული რეორგანიზაციის შედეგების საკანონმდებლო აქტებზე ასახვა და შესაძლო შეუსაბამოებების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტით ცვლილება შედის კანონის 40-ე მუხლის მე-ნ პუნქტში და იგი ყალიბდება ახალი რედაქციით რის შედეგადაც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პენსიების გაცემაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო პენსიების გამცემმა კომპეტენტურმა ორგანომ.

კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის პროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

